პროფესორ ირაკლი ზედგინიძის ხსოვნა (1940 – 2010.31.12)

გარდაიცვალა გამოჩენილი მეცნიერი, პედაგოგი და საზოგადო მოღვაწე, პროფესორი ირაკლი გიორგის ძე ზედგინიძე, რომელიც ჩვენი ჟურნალის რედკოლეგიის წევრი და მოამაგე იყო.

მისი ცხოვრება ყოველთვის გაჯერებული იყო შთაგონებით, შემოქმედებით, იდეებით, სიცოცხლის სიყვარულით. წავიდა მოულოდნელად და განუხორციელებელი დარჩა უამრავი ჩანაფიქრი და მეცნიერული იდეა.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის საზომი ტექნიკის, ექსპერტიზისა და ხარისხის მენეჯმენტის კათედრის გამგე ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი პროფესორი ირაკლი გიორგის ძე ზედგინიძე დაიბადა 1940 წლის 14 ნოემბერს ქ. თბილისში. ოქროს მედალზე დაამთავრა საშუალო სკოლა, 1963 წელს წარჩინებით საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის ავტომატიკისა და გამოთვლითი ტექნიკის ფაკულტეტი, 1967 წელს დაიცვა საკანდიდატო, ხოლო 1973 წელს 32 წლის ასაკში სადოქტორო დისერტაზცია თემაზე „ექსპერიმენტის მათემატიკური დაგეგმვა ნარევთა თვისებების გამოკვლევისა და ოპტიმიზაციისათვის". იყო საქართველოს ყველაზე ახალგაზრდა ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი.

მუშაობდა ჯერ უმცროს, შემდეგ უფროს მეცნიერ თანამშრომლად და ასრულებდა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის ავტომატიკისა და გამოთვლითი ტექნიკის საპრობლემო ლაბორატორიის უფროსის მოადგილის ფუნქციებს. 1972 წლიდან ბოლო დღემდე ხელმძღვანელობდა საინფორმაციო-საზომი ტექნიკის (ამჟამად საზომი ტექნიკის, ექსპერტიზისა და ხარისხის მენეჯმენტის) კათედრას.

მუშაობდა საზომი ექსპერიმენტის ორგანიზაციისა და მათემატიკური დაგეგმვის დარგში. 1969 წელს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობაში „მეცნიერება" გამოვიდა მისი პირველი მონოგრაფია „ტექნოლოგიური პროცესების ოპტიმიზაცია". 1971 წელს მეორე მონოგრაფია – „ექსპერიმენტის მათემატიკური დაგეგმვა ნარევთა თვისებების გამოკვლევისა და ოპტიმიზაციისათვის". მან ჩამოაყალიბა ექსპერიმენტის დაგეგმვის ქართული სკოლა. პოლიტექნიკური ინსტიტუტის ბაზაზე 1972 წელს ჩაატარა საკავშირო კონფერენცია ექსპერიმენტის დაგეგმვაში. 1973 წელს პოლიტექნიკური ინსტიტუტის ისტორიაში პირველად მიენიჭა საქართველოს კომკავშირის პრემია მეცნიერების დარგში. ირაკლი ზედგინიძე ავტორია 9 მონოგრაფიის (რომელთაგანაც 2 გამოქვეყნდა საზღვარგარეთ), 41 სახელმძღვანელოსა და დამხმარე სახელმძღვამელოს, 145-ზე მეტი სამეცნიერო სტატიის, 3 საავტორო მოწმობის და 60 მოხსენებათა თეზისის.

პროფესორი ირაკლი ზედგინიძე ეწეოდა აქტიურ პედაგოგიურ მოღვაწეობას. მისი ინიციატივითა და უშუალო მონაწილეობით შეიქმნა 5 სასწავლო ლაბორატორია, კომპიუტერული კლასები, ფუნქციონირებდა „მეტროლოგიისა და სტანდარტიზაციის" სამეცნიერო-კვლევითი ლაბორატორია, მისი ხელმძღვანელობით დაცულია სადოქტორო და მრავალი საკანდიდატო დისერტაცია, 38 წლის განმავლობაში პროფესორ ირაკლი ზედგინიძის ხელმძღვანელობით დინამიკური განვითარების შედეგად კათედრა გახდა ტექნიკური უნივერსიტეტის ერთ-ერთი წამყვანი ქვედანაყოფი.

სამეცნიერო და პედაგოგიური მოღვაწეობისათვის ირაკლი ზედგინიძე დაჯილდოვდა ღირსების მედლით.

პროფესორი ირაკლი ზედგინიძე იყო გაეროსთან არსებული ინფორმატიზაციის საერთაშორისო აკადემიის აკადემიკოსი, კავშირგაბმულობის საერთაშორისო აკადემიის ნამდვილი წევრი, საქართველოს ეკოლოგიურ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი.

უდიდესი სამეცნიერო-პედაგოგიური და ორგანიზაციული დატვირთვის მიუხედავად, იგი ყოველთვის ახერხებდა გამოენახა დრო ინდივიდუალური მუშაობისთვის სტუდენტებთან, მაგისტრებთან, დოქტორანტებთან, კოლეგებთან. ახერხებდა ერდროულად ყოფილიყო ხელმძღვანელი, მეგობარი და მრჩეველი.

მისი განვლილი ცხოვრება იყო მეცნიერებისადმი თავდაუზოგავი მოღვაწეობის, ჰუმანიზმისა და უსაზღვრო თავდადების ღირსეული მაგალითი.

დაუვიწყარი იქნება სახელოვანი მეცნიერის, დიდებული ადამიანის, ღირსეული მამულიშვილის, ბატონი ირაკლი ზედგინიძის ხსოვნა მისი ოჯახის, მეგობრებისა და კოლეგებისათვის.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი,
ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტი,
ჟურნალის რედკოლეგია